სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №16 (4537) ● 23 ნოემბერი ● 2016 წელი ● ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თბილისის 89-ე საჯარო სკოლა ევროპულ სიმაღლეებს უმიზნებს

ცოდნის მაღალ ხარისხს ძლიერი პედაგოგები აღწევენ

სახელოვანი ისტორია და მდიდარი ტრადიციები ამკობს ამ სკოლას. წარსულზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ამჯერად კი დღევანდელობას გავუსწოროთ თვალი. წინასწარ გეტყვით: თბილისის 89-ე საჯარო სკოლას ძლიერი პედაგოგები ჰყავს, ბევრ სკოლას რომ შეშურდება ისეთი და თუ ვინმეს რამედ უღირს ბრძენკაცის შეგონება: **„კადრები წყვეტენ ყველაფერსო“**, მაშინ მოსწავლეთა ცოდნის მაღალი ხარისხი მალე მიღწეული იქნება. მითუფრო, მასწავლებლებს ერუდირებული, ენერგიული, ღირსეული დირექტორი ხელმძღვანელობს. განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ტრენერთა სკოლის ტრენერი და წამყვანი პედაგოგი **მიმოზა ტყებუჩავა.** იგი უამრავი სამეცნიერო ნაშრომისა და მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორია მათემატიკაში.

განათლების ხარისხის ამაღლებისათვის მუხლჩაუხრელად იბრძვიან დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ისიც მეცნიერებათა დოქტორი **ნანა სოლოღაშვილი** და ხარისხის მართვის მენეჯერი **მარი კირთაძე**.

სკოლაში ფუნქციონირებს სამართლიანი და ობიექტური ადამიანებით დაკომპლექტებული სამეურვეო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა მშობელი **ნინო ამირანაშვილი**.

სკოლის პედაგოგთა უმეტესობა სერთიფიცირებულია და უფროსი მასწავლებლის სტატუსს ატარებს. ყველა პედაგოგი ჩართულია კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემაში. სკოლის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს მემორანდუმი **„ილია-ს სახელობის უნივერსიტეტთან“**, რომელთა სტუდენტები სტაჟირებას (ძველი ტერმინით პრაქტიკას) სწორედ ამ სკოლის უფროს პედაგოგებთან გადიან.

სკოლაში მუშაობს 8 კათედრა. მათგან 7 საგნობრივია: **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა** (თავ-რე **ლ. ქემოკლიძე**), **საბუნებისმეტყველო** (**ი. ჯავჯანიძე**), **უცხო ენების (ნ. აბესაძე), მათემატიკისა და ისტის (თ. ფიროსმანიშვილი)**, **დაწყებითი საფეხურის (ნ. ბეჟანიშვილი)**, წელს დაემატა კიდევ ერთი, **კლასის ხელმძღვანელთა კათედრა** (თავ-რე **თ. სირაძე).**

გასული სასწავლო წლის ბოლოს, მე-12 კლასის ყველა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა სკოლის გამოსაშვები საატესტატო გამოცდები და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგები აჩვენა, მათგან რამდენიმე სახელმწიფო გრანტის მფლობელი გახდა.

სკოლას ჰყავს ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები. გასული სასწავლო წლის მედალოსნები არიან: **ნ. შახნაზაროვი, ა. მახნიაშვილი, ი. ლოხიშვილი.** 2016-2017 სასწავლო წლის კანდიდატები არიან: **ნ. ონიაშვილი, თ. არაბული, თ. ვარსიმაშვილი, ნ.ბარამაშვილი, ნ. ღვანიძე**. ვუსურვოთ მათ წარმატებები.

სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ოლიმპიადაში, რომელიც განხორციელდა ეროვნული ცენტრის ეგიდით. ასევე, აქტიურადაა ჩართული **„კინგსისა“** და **„სმარტის“** ოლიმპიადებშიც. რეგიონის მასშტაბით IV[1] პირველი კლასის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს და მათი პედაგოგი **მ. ანთაძე** დაჯილდოვდა რეგიონის საუკეთესო პედაგოგის დიპლომით.

სკოლის მოსწავლეთა საყვარელი ადგილი ბიბლიოთეკაა. ბიბლიოთეკარი ძალღონეს არ იშურებს, საყვარელი და საინტერესო წიგნების შერჩევაში დაეხმაროს მოსწავლეებს, პედაგოგებს კი მიაწოდოს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ლიტერატურა. ხშირად აწყობს მკითხველებთან ეფექტიან ღონისძიებებს.

სკოლის დირექტორი **მიმოზა ტყებუჩავა** უამრავი სიახლეების დამნერგავია, ჭეშმარიტი რეფორმატორი, განათლების ჩინებული ექსპერტი. მის რუდუნებას ბევრი სიხარული და შედეგი მოაქვს სკოლისათვის. მიღწევათა შორის ერთ-ერთი ისიც გახლავთ, რომ მოსწავლეთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. **წელს ხუთი პირველი კლასი გაიხსნა**, ამიტომაც სკოლა ორ ცვლაში მუშაობს. **იმრავლონ!**

როცა საქმით ასეთი გატაცებაა, წარმატება ახლოს არის. ჰოდა, 89-ე სკოლელებს თვალი გამარჯვებისკენ უჭირავთ.

ლალი ქემოკლიძე,
ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ფოთა რუსთაველი – 850

ციბრძნის მარგალიტები

●●●

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი.

●●●

ხამს მოყვარე მოყვრისათვის – თავი ჭირსა არდამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად.

●●●

არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა.

●●●

კაცი ცრუ და მოღალატე ჰხამს ლახვრითა დასაჭრელად.

●●●

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

●●●

ყვავი რა ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.

●●●

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

კერძო სკოლა ,,ბრიტანიკა'' ევროპული სტანდარტების მხარდამჭერ

კომფორტული სწავლების ტრიუმფი

დედაქალაქის უძველეს, ნაძალადევის რაიონში ჩარგლის ქუჩაზე მდებარეობს შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,**ბრიტანიკა''.** იგი დაფუძნებიდან ერთ ათეულ წელს ითვლის. თავდაპირველად იგი 57 მოსწავლეს ზრდიდა, დღეს კი მათი რაოდენობა სამასს აღწევს. ამ ბრწყინვალე

დაწესებულების დამფუძნებელი და დირექტორი მეტად გამოცდილი და ერუდირებული პედაგოგი **თამარ მაისურაძე** გახლავთ. იგი ,,ბრიტანული სკოლის'' ხელმძღვანელობამდე თბილისის მე-15 საჯარო სკოლის გამორჩეული პედაგოგი იყო.

,,**ბრიტანიკის**'' 34 პედაგოგიდან 7 მათგანი სერთიფიცირებული სპეციალისტია, 5 კი საერთაშორისო სერთიფიკატის **FCE**-ს მფლობელი ინგლისური ენის პედაგოგია, ხოლო ერთი ქალბატონი **ლიანა ბაქრაძე** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო უცხოური ენებიდან წარმატებით ისწავლება ინგლისური, რუსული და იაპონური.

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მისაღები გამოცდების საშუალებით I-IX კლასებში. **„ბრიტანიკაში''** სწავლების მაღალ ხარისხზე მიუთითებს ის, რომ ჩარიცხვის მსურველებმა ტესტში ქულათა 60%-იან ზღვარს უნდა გადააჭარბონ. სკოლის მაღალკვალიფიციური პედაგოგები (რაშიც მათთან გასაუბრებისას დავრწმუნდი) გაკვეთილებს ატარებენ თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ კლასებში. შექმნილია პირობები მოსწავლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფების ინტენსიური სასწავლო პროცესისთვის. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

„ბრიტანიკას'' აკადემიური პროგრამა მოსწავლეებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს. მოსწავლეებმა,

ყოველდღიურად დავალებების მომზადების გარდა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დისკუსიებში, მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ კომპიუტერული ტექნოლოგიები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წერითი სამუშაოების შესრულების ხარისხს.

ორივე სემესტრის ბოლოს ტარდება მთავარი წერითი სამუშაოები **(midterm) GaT**-ის სისტემით ყველა საგანში, შედეგები კი წერილობით ეცნობება მშობელს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ისეთ საგნებში, როგორიცაა ინგლისური, ისტორია, სამოქალაქო განათლება, მოსწავლეებს უტარდებათ, როგორც ლექციური, ასევე სასემინარო მეცადინეობები. ხოლო სემესტრის ბოლოს ამზადებენ რეფერატებს განვლილი მასალის თემებიდან.

„ბრიტანიკას'' აკადემიური პროგრამა ტიპიური ქართული სასკოლო პროგრამებისგან იმით განსხვავდება, რომ:

ინგლისური ენის შესწავლა წარმოებს მხოლოდ ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, ძირითადი ბრიტანული

▶▶ გაგრძელება მე — 3 გვ.

გაიცანით თბილისის 46-ე საჯარო სკოლა

თავდადებული შრომა გამარჯვების საწინდარია

მოკრძალებით გავაღე კარი და შევადგი ფეხი ლეგენდარული **ვახტანგ ჭაბუკიანის** სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის შენობაში. მის ერთ ნაწილში, კერძოდ, მარცხენა ფლიგელში, დროებით, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განთავსებულია ჩვენი მასპინძელი – ამავე სახელობის 46-ე სკოლა.

თავად შენობას, მის ინტერიერ-ექსტერიერს, ეზოს, მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას და ა.შ. ამჯერად ვრცლად არ შევეხებით, რადგანაც ყველაფერი თვალს იტაცებს.

ცნობილი 46-ე საჯარო სკოლის დირექტორი გახლავთ უაღრესად ერუდირებული, თავისი საქმის პროფესიონალი და კეთილშობილი პიროვნება **ნინო კობახიძე.**

ქალბატონი ნინო წლების განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ სკოლაში. იყო სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე. წარმატებით გაიარა დირექტორობის კონკურსი და აირჩიეს სკოლის ხელმძღვანელად.

დირექტორს ულალატოდ მხარში უდგანან ისეთი გამოცდილი პედაგოგები როგორებიც არიან დირექტორის მოადგილე – **შოთა კუპატაძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე – **ნათია დგვეფაძე**, საერთო წინსვლა-წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სკოლის თვითმმართველობას, რომელსაც გატაცებით ხელმძღვანელობს ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული მე-11 კლასის მოსწავლე **მარიამ გოგოძე**.

ვამაყობ ძლიერი პედაგოგებით. 24 მასწავლებლიდან 7 უფროსი პედაგოგია, 6 სერთიფიცირებული. ინგლისური ენის პედაგოგს **ნინო სისაურს** კი მინიჭებული აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დირექტორმა.

სწავლების ხარისხი პირდაპირპროპორციულია საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობისა. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პედაგოგები: მშობლიური ენა-ლიტერატურის – **ლეილა ხარაშვილი**, მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიების – **იზა მესხია**, უცხოური ენების – **ფიქრია გაბრიჭიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების – **ნინო ღამბაშიძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **თინა ტურაშვილი**, დაწყებითი კლასების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის – **თამარა გუჯაბიძე**.

სკოლის კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს მათ მიერ აღზრდილი და დაფრთიანებული მოსწავლეების მიღწევები: ოქროს მედალზე სკოლა დაამთავრა სამმა მოსწავლემ, 100% გრანტით სტუდენტი გახდა – 20.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ეროვნულ სასწავლო და სამოქალაქო განათლების ოლიმპიადებში, ,,კინგსის'', ,,სმარტის'', ,,რობინსონის'' და ა.შ.

ზაფხულში მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მზიურის მათემატიკურ კონკურსში **,,იმედი ხვალის''**, სადაც ორმა მოსწავლემ, **ნინო ბერძენიშვილმა** და **მარიამ მელიქიშვილმა** იყოჩაღეს და გაიმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ თბილისის საბალეტო დასის მოცეკვავეები, ძირითადად, 46-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან.

დირექტორთან ერთად ყველა მასწავლებლის მიზანი და სურვილია, რაც შეიძლება მალე მიიღონ საკუთარი შენობა, ჰქონდეთ თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სკოლა, სადაც მოზარდი სიხარულით მოვა ცოდნის შესაძენად, ხოლო მასწავლებელს ექნება საუკეთესო პირობები, აღზარდოს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი განათლების, ტოლერანტი და სამოქალაქო ცნობიერების მოსწავლე.

გვჯერა, ასეც იქნება, რადგან 2016 წლის 28 აპრილს სკოლას გადმოეცა უ. ჩხეიძის ქ. № 8-ში მდებარე შენობის ნაწილი. იქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. გისურვებთ წარმატებებს!

ივერ მესხია

მე-2 გვერდიდან

სახელმძღვანელოებისა და ყველა იმ დამატებითი წყაროების მეშვეობით, რომლებიც შეირჩა დონის შესაბამისად;

მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სადისკუსიო დებატებში და წარდგინებებზე თემების დონეების შესაბამისად. მასწავლებლის დახმარებითა და მისი რჩევის საფუძველზე წარმოადგენენ იმ მასალას, რომელიც ორივე მხარის მოსაზრებით ჩაითვლება მართებულად.

სკოლაში საგნობრივ კათედრებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პედაგოგები. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას უძღვება ქალბატონი **მაია წიკლაური-თაბაგარი;** მათემატიკას – **თინათინ მინდიაშვილი;** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას – **მარიამ ნოზაძე**; უცხოური ენებისას – **სოფიკო გველესიანი;** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას – **ლიანა ბაქრაძე;** ხელოვნებისა და სპორტისას – **ნინო ქუთათელაძე**.



მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, ასევე საქალაქოებში.

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე ინგლისურ ენაში წარმატებული მოსწავლეებისთვის სკოლას სამჯერ გადაეცა მადლობის სიგელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან.

სკოლას აქვს უშუალო კავშირი გამოცდებისა და შეფასების ცენტრის საერთაშორისო გამოცდების სექტორთან. მათი ხელშეწყობით კი მოსწავლეები წარმატებით აბარებენ **KET, PET, FCE** სასერთიფიკატო გამოცდებს, რომელიც ტარდება ყოველწლიურად შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

VII კლასიდან მოსწავლეები ითვისებენ იაპონურ ენასა და კულტურას. ისინი შეისწავლიან ანბანს – ჰირაგანასა და კატაგანას იეროგლიფებს (დაახლოებით 1500-2000), გრამატიკის საფუძვლებს სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით - **,,Japanese For Youn People', ,,Introctory Japanese'', ,,Basic Kanji BooK''**, რაც შეეხება იაპონურ კულტურასა და ტრადიციებს, მოსწავლეებს ლექციის სახით პედაგოგი აწვდის ინფორმაციას იაპონური დამწერლობის, ისტორიული ეპოქების, იაპონიის ძირითადი ქალაქებისა და მათი ისტორიის შესახებ. ფართოდ იყენებენ ვიდეო მასალას.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა აღმზრდელობით საქმიანობას. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა კლასგარეშე ღონისძიებებში, განსაკუთრებით — სპორტულ შეჯიბრებებში.

,,ბრიტანიკა'' ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით და ასევე, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებით. 2011-2012 სასწავლო წლის კურსდამთავრებულებიდან მოყოლებული დღემდე უნდა დავასახელო: **სალომე ამირანაშვილი, ანა ჯინჭარაძე, გიორგი მამალაძე** (სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები), **ქეთი ბზიკაძე** (სამხატვრო აკადემია), **ბაჩო და ნინო კალანდაძეები** (საქართველოს უნივერსიტეტი), **ელენე სიხარულიძე (GIPA)**, **ანა ამირხანაშვილი, ნინო შაქარაშვილი, გიორგი მეტრეველი, ომარ შუბითიძე, ლაშა წერედიანი, საბა მიქაია** (თავისუფალი უნივერსიტეტი), **გიორგი ბულაური, ნინო კურდღელაშვილი, ელენე ტაბიძე, შალვა ტყემალაძე** (შავი ზღვის უნივერსიტეტი), **ანა ღამბაშიძემ** დაამთავრა შავი ზღვის უნივერსიტეტი და იგი აგრძელებს სწავლას გერმანიის უნივერსიტეტში, **ნიკა გოგოლაძე** (სტოკჰოლმის ეკონომიკის უნივერსიტეტის რიგის ფილიალი), **შოთა ბარამია** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ლიანა ჯანეზაშვილი** (აგრარული უნივერსიტეტი), **მარიამ ყიფშიძე** (კავკასიის უნივერსიტეტი), **მამუკა ანჯაფარიძე** (სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალობით, **ნიკა ჯავახია - Exeter university, Great Brita**.

ყველა ზემოთჩამოთვლილი წარმატება არის დამსახურება ისეთი გამორჩეული პედაგოგებისა, როგორებიც არიან: **ლია ბაქრაძე, თემურ ტაბატაძე, რუსუდან ანთიძე, მანანა ქიმერიძე, მარი ნოზაძე** და სხვები. განსაკუთრებით უნდა შევაქოთ გამოცდილი, გატაცებით მოღვაწე მენეჯერი **ელენე ხუხია**, რომელიც დირექტორის მხარდამხარ ბევრს შრომობს **,,ბრიტანიკას''** გასაბრწყინებლად.

ამ სკოლაში სტუმრობისას დავრწმუნდი, რომ პედაგოგების მთავარი მიზანია 21-ე საუკუნის საქართველოს აღუზარდოს ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს წარმატებით გააგრძელოს სწავლა ნებისმიერ სასწავლებელში, იქნება ეს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. გვჯერა, ქვეყანას შეემატება ხვალინდელი დღის მშენებელი უამრავი ღირსეული ადამიანი.

წარმატება და წინსვლა ვუსურვოთ **,,ბრიტანიკას''**.

რომან მოსეშვილი

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

დედაქალაქის 173-ე ბაგა-ბაღი ზღაპრული სამყაროა

დედობრივი მზრუნველობა არ მოგაკლდებათ, ცეროდენებო!

როდესაც მუხიანში 173-ე საბავშვო ბაგა-ბაღს ვესტუმრე, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ბევრი უმუშავიათ დირექციას, აღმზრდელებსა და მთელ კოლექტივს. ფოიე, დარბაზი, გასახდელები, ჯგუფები – ყველგან სისუფთავე, თვალსაჩინოებები, სასწავლო სტენდები, ნახატები, სათამაშოები. საოცარი განწყობა იქმნება. მზიან ამინდში პატარები ხალისითა და ჟრიამულით მოეფინებიან ხოლმე ვრცელ, ნაძვებით დამშვენებულ ეზოს, სადაც მათთვის უამრავი გასართობია.

ბაგა-ბაღის დირექტორი ქალბატონი **მარინე ზაალიშვილი** 2007 წლიდან უდგას სათავეში კოლექტივს, რომელიც მართლაც, რომ შესაშური ერთსულოვნებით გამოირჩევა. თბილისის ყოფილი ა.ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა სკოლაში დაიწყო და გაიარა ყველა საფეხური მაშინდელი პიონერთა ხელმძღვანელობიდან სკოლის დირექტორობამდე, შემდეგ გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გახლდათ. დღეს კი ამ საბავშვო ბაღში მისი

▶▶ *გაგრძელება მე — 7 გვ.*

ჩვენი გაზეთი, სისტემატურად აშუქებს სკოლამდელი აღზრდის სფეროში მიმდინარე პროცესებს და ხშირად აცნობს საზოგადოებას ამ სფეროში განხორციელებულ წარმატებულ პროექტებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს, დედაქალაქის თითქმის ყველა ბაგა-ბაღში შესანიშნავი მდგომარეობაა, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** დიდი დამსახურებაა.

ამჯერად, გაგაცნობთ თბილისის 36-ე ბაგა-ბაღს, რომელიც ფონიჭალაში, რუსთავის გზადკეცილზე მდებარეობს. იგი, ერთ-ერთი პრესტიჟული საბავშვო დაწესებულებაა და ამიტომაც, აღსაზრდელთა

როგორ ცხოვრობთ, 36-ე ბაგა-ბაღელებო?

ინტერნაციონალური ბაღის წარმატებები

რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. ბაღს ამშვენებს დიდი და ლამაზი ეზო, სადაც უხვადაა წარმოდგენილი მწვანე ნარგავები, წიწვოვანი ხეები, ყვავილები, საქანელები და კარუსელები, რაც პატარებს ძალიან მოსწონთ. აქაურობას კიდევ უფრო დიდ მომხიბვლელობას სძენს ეთნოგრაფიული კუთხე, ვენახი, ჭურები, დაწნული კალათები და პატარა ხის სახლი, რომელსაც ამშვენებს შემოდგომის ნობათი.

ბაღის შენობაში შესვლისას თვალი გაგინათდებათ, აქ მაშინვე იგრძნობთ სისუფთავს და წესრიგს. დერეფნები და ოთახები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, სათამაშოებით, ყვავილებითა და პატარების შემოქმედებით. ინფრასტრუქტურა და სველი წერტილები მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

ახალი დირექტორის მოსვლიდან, სულ ცოტა ხანში, ბაგა-ბაღის იერ-სახე უფრო ესთეტიკური და მომხიბლავი გახდა. მართალია, ბაგა-ბაღების სააგენტო მხარში ამოუდგა, მაგრამ დამეთანხმებით, ხელმძღვანელის აქტიურობასა და მონდომებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სწორედ, ენერგიული დირექტორის დამსახურებაა ის, რომ ინფრასტრუქტურა უფრო მოწესრიგდა, განახლდა ღობე და ატრაქციონები, შემოიტანეს საჭირო სახელმძღვანელოები, ინვენტარი, საბან-ლეიბები, გამოიცვალა იატაკი და სხვა. ერთი სიტყვით, პატარებს სრული კომფორტი შეუქმნეს და მშობლებიც გაახარეს.

სამი თვეა რაც, 36-ე ბაგა-ბაღის დირექტორად დაინიშნა ახალგაზრდა და ენერგიული ქალბატონი **მარინა მაჭარაშვილი**. იგი, მანამდე 170-ე ბაღში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ. ქალბატონი მარინა ორი შვილის დედაა და კარგად ესმის ბავშვის ფსიქოლოგია, ძალიან უყვარს პატარები და დედასავით ზრუნავს თითოეულ მათგანზე.

36-ე ბაგა-ბაღი ინტერნაციონალურია, რადგან აქ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები იზრდებიან: ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები. თუმცა, ენობრივი ბარიერი არ არსებობს და ცეროდენებს ერთმანეთთან ძალიან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ. რაც მთავარია, ბაგა-ბაღში ისეთი კარგი პირობებია, რომ აქეთკენ მოუხარიათ ცუგრუმელებს. აქ სულ 305 აღსაზრდელია და 8 ჯგუფია. ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“** და წელს დაემატათ ახალი საგანი: **გარემოს დაცვა და უსაფრთხოება.** იმართება სასწავლო ხასიათის გასართობი ღონისძიებები, ღია გაკვეთილები. ამჟამად, თითოეულ ჯგუფში ტარდება თემატური გაკვეთილები, სხვადასხვა აქტივობები და შემოდგომის ზეიმები.

„თბილისობასთან“ დაკავშირებით, ბაღში გრანდიოზული ღონისძიება გაიმართა, სადაც პატარებმა სხვადასხვა კუთხის ღირსშესანიშნაობები წარმოადგინეს, იმღერეს, იცეკვეს და ლექსები წაიკითხეს. ქართული სამოსით და ჩოხით იყვნენ გამოწყობილები აზერბაიჯანელი ბავშვები. ზეიმზე, ქართულ ნობათთან ერთად იყო აზერბაიჯანული სამოვარი და ჩაი. ღონისძიება ჩურჩხელების ამოვლებით დასრულდა.

მარინა მაჭარაშვილი: ჩვენთან დღის რეჟიმი გაწერილია და პროგრამის შესაბამისად, დილიდან იგეგმება სამუშაო განრიგი. პატარებს თამაშ-თამაშით ვამეცადინებთ, ვატარებთ სხვადასხვა აქტივობებს და დღის ბოლოს ვაჯამებთ გაწეულ საქმიანობას. ბაღში დაემატა ლოგოპედი, აღდგა მუსიკისა და ცეკვის ჯგუფები. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ბავშვების ჯანმრთელობას და სამ თვეში ერთხელ ვწონით, ვზომავთ და მონაცემებს, ბარათის სახით, მშობლებს ვურიგებთ. ეს პროცესი პატარებს და მშობლებსაც ძალიან მოსწონთ. კვების ბლოკი ძალინ კარგად მუშაობს და ხარისხიან პროდუქტებს გვაწვდის შპს ,,ელფი‘‘, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. ვცდილობ აღსაზრდელებს კომფორტი შევუქმნა და მინდა, რომ ეს დაწესებულება მათთვის ჯადოსნური სამყარო იყოს. სხვათაშო-

▶▶ *გაგრძელება მე — 6 გვ.*

გამარჯობათ, ზაჰესელო ცეროდენებო!

აქ ხალისი და სიყვარული დამკვიდრებულა

ავჭალაში, ზაჰესის საბავშვო ბაგა-ბაღში სტუმრობისას გაგაოცებთ აქაური თბილი გარემო, პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და აღმზდელების თავდაუზოგავი შრომა. ბაღს ამშვენებს უზარმაზარი ეზო, რომელიც მოპირკეთებულია და გარშემოტყმულია კაპიტალური ღობით. აქ ნამდვილად მოიხიბლებით მრავალფეროვანი წიწვოვანი ნარგავებით, კედარით,

ნაძვით, აკაკის ხეებით, საქანელებით, გაზონებით და ლამაზი ყვავილებით. შენობა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები ესთეტურად არის მორთულ-მოკაზმული. სასწავლო — აღმზრდელობითი პროცესი კი, შესანიშნავად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ აქაური მესვეურები შემოქმედებითი კუთხით უძღვებიან საქმეს და ცდილობენ პატარებს კრეატიული უნარ-ჩვევები განუვითარონ.

ბაღის დირექტორი გახლავთ, დიდი გამოცდილების მქონე, ღვაწლმოსილი პიროვნება **ციცინო ადეიშვილი**. იგი, უკვე 26 წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს და ცდილობს პატარებისთვის მაქსიმალური კომფორტი შექმნას. ქალბატონ ციცინოს ძალიან უყვარს პატარები და დედასავით დაფოფინებს თითოეულ მათგანს. იგი, თავდაპირველად მასწავლებლად მუშაობდა და მრავალი თაობის აღმზრდელია.

ციცინო ადეიშვილი: ჩვენი ბაღი ტრადიციულია და დიდი ისტორია აქვს. იგი 1970 წელს დაარსდა და თავდაპირველად იყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგურის ბაღი, რომელიც მცხეთის რაიონს ეკუთვნოდა. 2007 წლიდან კი, დედაქალაქის დაქვემდებარებაში გადმოვიდა. მშობლები კმაყოფილები არიან და ეს ძალიან გვახარებს. შეიძლება ითქვას, რომ ბაღსა და მშობლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. გვყავს გამოცდილი და პროფესიონალი აღმზრდელები და ახალგაზრდა კადრებიც. თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდ მადლობას ვუხდით ბაგა-ბაღების სააგენტოს და **თემურ თორდინავას** თანადგომისთვის, რომლის დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა: ინფრასტრუქტურა განახლდა, ეზო შემოიღობა და სხვა. უახლოეს მომავალში კი, ატრაქციონების განახლება იგეგმება.

საგულისხმოა, რომ ზაჰესის საბავშვო ბაგა-ბაღში ყველა წარმატება მიღწეულია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის გუნდური ურთიერთობით და თავდადებული შრომით.

თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ: დირექტორის მოადგილე **ნინო ავსაჯანიშვილი**, მეთოდისტი **ირმა ადეიშვილი**, საქმისმწარმოებელი **ქეთევან ჩხიკვაძე**, ფსიქოლოგი **ლიანა კაპანაძე**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი **თამარ მაისურაძე**.

დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების საქმიანობას. ესენია: **ნაზი გუცაშვილი, გულიზარი გუჩმაზაშვილი, ლალი მათიაშვილი, ნინო ელიზბარაშვილი, მარგალიტა ჭუმბურიძე, სოფიო ხარშილაძე, ლილიანა პაპავა, ლელა ღამბაშიძე, ლია ჭედია, ქეთევან გაზაშვილი** და **ნაირა ლალიაშვილი.** პატარებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ელენე შავდათუაშვილი, სოფიო ჭანუყვაძე, მაგული**

კახიშვილი, ერატერინე ბალხამიშვილი, სოფიკო ფრიდონაშვილი, მაია ტოტოღაშვილი.

საბავშვო დაწესებულებაში აქტიურად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, ღია გაკვეთილები და აქტივობები. ახლახანს გაიმართა ,,თბილისობა'' და შემოდგომის ზეიმი. ბაღს, სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის, გლდანის რაიონის გამგეობისგან მიღებული აქვს სიგელები.

შემოქმედებით პროცესს უკვე მრავალი წელია, შესანიშნავად უძღვება **ნაირა ლალიაშვილი**. იგი პატარებს მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილებს უტარებს და ქართულ ხელოვნებას აყვარებს.

ცუგრუმელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა მათ გემრიელ კერძებს უმზადებენ გამოცდილი მზარეული **ნინო ოქრუაშვილი** და მისი დამხმარე **იამზე ვეფხვაძე**. ხაზგასასმელია, ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომა. ესენია: **ცისნამი ტუჩაშვილი, ნინო ბეჟაშვილი, ლელა შუკაკიძე, ეკატერინე ქებაძე, თამუნა კოკოზაშვილი, ნატალია დარსაველიძე, გია ოხანაშვილი** და **გიორგი ხუციშვილი.**

აღსანიშნავია, რომ ცუგრუმელებისთვის ლამაზი და თბილი გარემოს შესაქმნელად, თავდაუზოგავად იღვწის ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი. ამიტომაც, დღითიდღე მატულობს მადლიერ მშობელთა რიცხვი.

მზია გურული

▶▶ *მე-5 გვერდიდან*

რის, ჩემი შვილებიც აქ იზრდებიან. თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდ მადლობას ვუხდი ბაღის კოლექტივს, თანადგომისა და გუნდური მუშაობისათვის.

დირექტორს მხარში უდგას მისი მოადგილე **ქეთევან ძეგლიგაშვილი,** რომელიც ბაღისთვის ახალი კადრია, თუმცა, კარგად გაართვა თავი ახალ საქმიანობას. დაკისრებულ მოვალეობას შესანიშნავად უძღვებიან: მეთოდისტი **რუსუდან ამინაშვილი**, მნე **თინა შავშიშვილი**, საქმისმწარმოებელი და ბუღალტერი **ლალი როგავა**. თავიანთ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ბაღის სხვა თანამშრომლებიც. მაგალითად, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფსიქოლოგის **გიული ჯავჯანაშვილის**, ლოგოპედის **თენგიზ ავალიშვილის** და სპეც. პედაგოგის **ლია ნადირაძის** თავდაუზოგავი შრომა. ცუგრუმელების ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე ზრუნავს ექთანი **ნორა საღერაშვილი**.

პატარებს დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **ლელა ბარამიძე, მაია მიჩილაშვილი, მანანა ხარძიანი, ნატო მასურაშვილი, მანანა ახმეტელი, ნანა შავშიშვილი, ნინო ვაჩეიშვილი** და **ნინო ასლანიშვილი**. მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ნინო აბდუშელიშვილი, ნინო ჭიღლაძე, მარიამ ელბაქიძე, ხატია კალანდაძე, ირენა დოლმაზოვი, ნინო ხარაზიშვილი, თამარ ახვლედიანი, ქეთევან თეთრაძე, ბელა შამუგია, ნატალია ჭანტურია** და **რუსუდან ზაფირიდი**.

ცუგრუმელებს გემრიელ კერძებს უმზადებს მზარეული **ხათუნა გვრიტიშვილი** და მისი დამხმარეები: **ინგა ჯანყარაშვილი** და **რუსუდან გოგოლაძე.**

ბავშვების ცხოვრებას კიდევ უფრო ალამაზებენ მუსიკის პედაგოგები: **ხათუნა ოსიაშვილი** და **ნინო გიორგობიანი**, ასევე, ცეკვის მასწავლებელი **ზაალ კვირკვია**.

დირექტორი კმაყოფილია ბაღის ტექნიკური პერსონალის საქმიანობით. ესენია: **ქეთინო სარალიძე, ალა ძიძიკაშვილი, რუზანა გარანკინი, აიდა კოლოსოვი, მარიამ ტიტვინიძე, თეა ურჩუხუშვილი, ნინო ჭურღულაშვილი, გელა ხვინთელანი** და **იოსებ ჭურღულაშვილი**.

აღსანიშნავია, რომ უბნის მაცხოვრებლები და მშობლები კმაყოფილი არიან 36-ე ბაგა-ბაღის მუშაობით და საჯაროდ უხდიან მადლობას ბაღის თითოეულ თანამშრომელს.

მზია გოგოძე

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

ხელმძღვანელობით გარემონტდა და მოეწყო კიდევ ერთი ახალი ჯგუფი საჭირო ინვენტარითა და სათამაშო კუთხეებით, გასახდელი და მოსასვენებელი ოთახი, სველი წერტი-

ლი, სამზარეულოს ოთახი. ყოველწლიურად განახლებული გარემოთი ხვდებიან აღსაზრდელებს. ყველაფერს დაატყო აკურატული და გემოვნებიანი ხელი. მუხლჩაუხრელი შრო-

მის შედეგიც სახეზეა, ამ წლების მანძილზე 6 ჯგუფიდან 14 ჯგუფამდე გაფართოვდნენ. ყველა ჯგუფი თანამედროვე სტანდარტების დონეზეა მოწყობილი. პატარების აღზრდისა და განვითარებისათვის, მათი გონებრივი და მხატვრული თვალსაწიერის გაფართოებისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

უკანასკნელ წლებში, სწავლებისა და განვითარების ახლებური სტანდარტები დაინერგა, აღმზრდელ-პედაგოგთა შემოქმედებას თავისუფლება მიეცა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები მეტი ენთუზიაზმით მიმდინარეობს. ჯანსაღი უნარ-ჩვევების, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მეტყველების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მოღვაწე ბაგა-ბაღის აღმზრდელებს: **მზევინარ კასპელაშვილს, თამარ ქვლივიძეს, ვალიდა მგალობლიშვილს, თინათინ თეგეტაშვილს, ციცინო ზაქარიაშვილს, ია გასიშვილს, ხათუნა ბუაძეს, მაია გოგიას, თამუნა ლეთოდიანს, ნანა მესხს, ნანა ქიმაძეს, ხათუნა ჯიშკარიანს, მარინე წიკლაურს, თამარ ყამბეგაშვილს, თამარ ნარსიას**.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ყველაზე ლამაზი და სათუთია, აქ ხომ ცეროდენები დედის გარეშე ატარებენ დღეს. ბევრი მათგანი აქ იწყებს ლაპარაკს, სია-

რულს, აღმზრდელის კალთას ამოფარებულები არიან. პატარების მოვლის მთელი სიმძიმე არანაკლებად გადადის აღმზრდელის თანაშემწეების მხრებზე, განსაკუთრებით ბაგის ჯგუფებში. აი, ისინიც: **ეთერ გოგილაშვილი, ეკა გახარია, ლეილა აბაშიძე, თამარ საბაური, ნათია გასიშვილი, ნატალია გორგაძე, ინგა ნოზაძე, მაკა ტატანაშვილი, ელზა მღებრიშვილი, ნათელა ბექაური, ლია მარუაშვილი, ლალი ლომსაძე, ნუნუ ნათენაძე, მაყვალა ესართია, ნინო ციცინაშვილი, ნუნუ რეხვიაშვილი**.

დიდი ძალისხმევა სჭირდება ბავშვებისათვის სასურველი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ქალბატონი მარინე ითვალისწინებს კოლექტივის აზრს, ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს, გეგმავენ ღონისძიებებს, ინაწილებენ პასუხისმგებლობას მშობლის წინაშე, რომელიც შვილს საიმედო ხელში ტოვებს. პროფესიულ დონეზე უძღვებიან თავიანთ საქმეს — დირექტორის მოადგილე **ნადეჟდა ყოჩიშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან კახაძე**, ფსიქოლოგი **მაია რამაზაშვილი**, ლოგოპედი **ცისანა კილაძე**, სპეციალური პედაგოგი **თამილა ქისტაური**.

მუსიკის ხმებს თუ მიყვებით, ლამაზ დარბაზში აღმოჩნდებით, სადაც პატარებს სიმღერის სიყვარულს აზიარებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: **მარიამ სიფრაშვილი, ჯანო თითირაშვილი და ნატო ქარჩავა.**

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანია ,,ელფი“ უმაღლესი ხარისხის პროდუქტით ამარაგებს ბაგა-ბაღებს. სურსათის ჰიგიენის წესებთან დაკავშირებით, ყველაფერს სანიმუშოდ უძღვებიან და უგემრიელეს კერძებს ამზადებენ სამზარეულოში დასაქმებული თანამშრომლები: მზარეული **ნინო მინდიაშვილი**, მზარეულის თანაშემწეები — **ანა გაგნიძე, ნინო მაისაშვილი** და **თამარ ბორცვაძე**, მზარეულის დამხმარე **მზია ქავთარაძე**.

ის თვალშისაცემი სისუფთავე, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა დამლაგებლების - **ნატო ლიპარტიას, ნანა მერებაშვილის, შორენა ჭურჭუმალიძის, სალომე ხარაიშვილის, დიანა ბზარაშვილის** დამსახურებაა.

ერთ ოჯახად ცხოვრობენ და ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდაში თავიანთი წვლილი შეაქვთჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს **თამარ კრაველიძეს**, საქმისმწარმოებლებს – **ნუნუ შუბითიძესა** და **ნათია ზაქარიაშვილს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს **ეთერ გიორგაძეს.**

დასაფასებელია მრეცხავების შრომა, თეთრეული, ჭურჭელი, რასაც მათი ხელი შეეხება, ყველაფერი წკრიალებს. ესენი არიან: **დარეჯან ლომსაძე, ნინო ლომსაძე, ინგა ვაშაძე, ნათია წიკლაური, თინათინ გაგნიძე, მაია ქსოვრელი.**

ეზოს კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე გატაცებით ზრუნავს მებაღე **მარინა გელაშვილი.** თავის საქმეს ჩინებულად უძღვებიან მუშა **ხათუნა შათირიშვილი**, დარაჯები: **კახა ჭუმბურიძე** და **შერმადინ თუთბერიძე.**

აფერადებული კედლებიდან ზღაპრის გმირები, ფერად-ფერადი სათამაშოები მაცდურად გვიცქერენ და ცეროდენებს ელოდებიან. თამაში, გართობა, სწავლა, კვება, დღის რეჟიმი საათობრივად გაწერილია, მენიუ თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული, კოლექტივი თავისი საქმის ერთგული და პროფესიონალია და მშობელიც საიმედო ხელში ტოვებს თავის პატარას, რომელსაც აქ ყოველ დილით ღიმილით ეგებებიან. თუ ცეროდენები და მათი მშობლები კმაყოფილნი არიან, მთავარი ესაა. და ეს ნამდვილად ასეა. უფრო გაბრწყინდი, 173-ე ბაგა-ბაღო!

ნათია გურგენიძე

ПИРВЕЛИ ЛОГОПЕДИУРИ ЕРТ-ЕРТИ ЧВЕЛАЧЕ ГАМОРЧЕУЛИА

,,სასკოლო მზაობის პროგრამა'' წარმატებით ხორციელდება

თბილისის №1 ლოგოპედიური ბაგა-ბაღი, მართლაც რომ გამორჩეული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა. იგი, გლდანის მერვე მიკრორაიონში მდებარეობს და დედაქალაქში არ მეგულება მეორე ბაღი, რომელსაც ასეთი ვრცელი ეზო და დიდი შენობა ჰქონდეს. ყველაფერია აქ ცუგრუმელებისთვის: კარუსელი, საქანელა, აიწონ-დაიწონა, ,,აჩუ ცხენო'' და სხვა მრავალი გასართობი სათამაშო, რომელიც პატარებს ძალიან მოსწონთ. ეზო მოპირკეთებულია და დამშვენებულია წიწვოვანი ხეებითა თუ ყვავილებით. შენობა აბსოლუტურად მოწესრიგებული და გარემონტებულია. აქ სისუფთავე, სილაღე და მშობლიური გარემო სუფევს. დერეფნები, საკონცერტო და სპორტული დარბაზები, ოთახები და კაბინეტები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, პატარების შემოქმედებით: აპლიკაციებით, ნახატებით, გამოძერწილი ზღაპრის

გმირებით და მრავალფეროვანი ყვავილებით. ცეროდენები ამ ზღაპრულ სახლში, თამაშ-თამაშით სწავლობენ და თან ხალისობენ.

№ 1 ლოგოპედიური ბაგა-ბაღი, 1976 წელს დაარსდა **ლალი ზაქარეიშვილის** მიერ და სწორედ, იგი გახლდათ მისი პირველი დირექტორი. თავდაპირველად, დაწესებულება იყო სადღეღამისო სკოლა-ინტერნატი, სადაც საქართველოს ყველა კუთხიდან, მეტყველების დეფექტის მქონე პატარები სწავლობდნენ. აქ ჩაეყარა საფუძველი ქვეყანაში ლოგოპედიური დარგის განვითარებას. წლების შემდეგ კი, სკოლა-ინტერნატმა სახელწოდება შეიცვალა და ჩვეულებრივ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებად გადაკეთდა. ამჟამად, აქ 805 ბავშვია, აქედან 120 მეტყველების პრობლემის მქონეა, 12 კი ინკლუზიური პატარაა. მათთან

ხნის მანძილზე ბაღი კიდევ უფრო ააღორძინა. ქალბატონი მზია პროფესიით პედაგოგია. მას დამთავრეული აქვს ისტორიის, დაწყებითი განათლების და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტები. წლების წინათ მუშაობდა მოსკოვში, ქართულ ლიცეუმში მასწავლებლად და ასევე, ყვარლის რაიონში, სკოლის დირექტორად.

ლოგოპედიური ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია მაღალპროფესიონალი კადრებით. აქ სულ 105 თანამშრომელია და მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული. ახალ ხელმძღვანელს დადებითად ახასიათებენ, მას გვერდში უდგანან და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარები სწორად აღზარდონ და ყურადღება არ მოაკლონ. ქალბატონმა მზიამ, ბაგა-ბაღების სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადგომით, განაახლა ატრაქციონი და ინფრასტრუქტურა, მოაწყო პანდუსი, შეიძინა მეთოდური სახელმძღვანელოები, ინვენტარი, საბან-ლეიბები და ა.შ. სწორედ, ახალი დირექტორის დამსახურებაა ის, რომ ბაღში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პატარების ჯანმრთელობას, სისუფთავეს და რა თქმა უნდა, განათლებას. ასევე, ჩამოაყალიბა კაბინეტური სისტემა და ახლა,

ჯანმრთელობის კოორდინატორები: **თეა ბოჭორიშვილი** და **მარინე ობგაძე**.

პატარებთან განსაკუთრებით რუდუნებით მუშაობენ პროფესიონალი ლოგოპედები: **მაყვალა გერგაია, მზია გელაძე, ლია ხარაძე, თინათინ სარიშვილი, ნინო გაბაშვილი და ლალი ჯაგაშვილი**. ცუგრუმელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა, მათთვის გემრიელ კარძებს ამზადებენ მზარეულები: **სოფო დოთიაშვილი, ციცინო კელაპტრიშვილი, ვიოლეტა ჩხაიძე** და **ქეთევან ქვრივიშვილი**.

აღსაზრდელებისთვის ხშირად ტარდება სხვადასხვა აქტივობები, სეზონური ღონისძიებები და ზეიმები. ახლახან, ბაღში გაიმართა **,,შემოდგომის ფესტივალი''**, სადაც პატარებმა ძალიან მოილხინეს. დეკემბრისთვის კი იგეგმება ლოგოპედიაში ღია გაკვეთილის ჩატარება.

ცუგრუმელების ცხოვრებას კიდევ უფრო ახალისებენ მუსიკის მასწავლებლები: **ნინო ტრაპაიძე, ლეილა ლიპარიძე, მარინე ჯალაბაძე** და ცეკვის პედაგოგი **რაინდ სამხარაძე**.

აქ უყვართ ბავშვები, დედასავით ზრუნავენ მათზე. გაგაცნობთ აღმზრდელებს, რომლებიც მუხლჩაუხრელად იღვწიან იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი მშობლიურ გარემოში იგრძნონ. ესენი გახლავთ: **ლალი ყურაული, სალომე ფხალაძე, ლალი გელაშვილი, სოფო პირველი, თამილა იმედაშვილი, ნელი ჩიტაძე, მარიკა ხუროშვილი, მარინა კერვალიძე, მაკა მუმლაძე, მარინა კიკვაძე, ციალა მუჯირიშვილი, მარიამ ჩიტაური, მაია შეკიშვილი, მედეია კაციტაძე, მარინა კერვალიძე, ლელა ცერცვაძე, ნინო ყაველაშვილი, ირმა სამხარაძე-ქველაძე, ნანი ოჩციკიძე, თინათინ მოსიაშვილი, ინგა კურტანიძე, ირინე ლაცაბიძე, ლია რაზმაძე, რუსუდან ღულუნიშვილი, ფატმან ცუცქირიძე, ლამრიკო ჯგერენაია, ლეილა რეხვიაშვილი, ირმა გარსიძე, თეა გაგანაშვილი, ნინო დანელია, ლალა გურული, შორენა ჭინჭარაული, რუსუდან ხურცილავა, ლელა გურასპაშვილი** და **ხატია მაისურაძე**. მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **იამზე მესხი, მაია მჭედლიძე, მაია ქაშიბაძე, ინდირა ტუღუში, შორენა ბახტურიძე, ია კუპატაძე, ეკა ბუწანკალური, ლალი ხატიაშვილი, ლალი ნეფარიძე, ზეინაბ გასიტაშვილი, ხათუნა ყალაგაშვილი, ეკატერინე გურგენაშვილი, ლელა ბეგიჯანაშვილი, ლია ივანაშვილი, თინა კვიჟინაძე, ნანული სააკაძე, ელზა გუმბერიძე, თამარ რაზმაძე, ეთერ გვიმრაძე, ნუნუ კენკიშვილი, თეა კუპატაძე, ნაირა ლოლაშვილი** და **თეკლე გეთიაშვილი**.

განსაკუთრებული რუდუნებით მუშაობენ პროფესიონალი პედაგოგები. ბაღში, დაარსების დღიდან მოღვაწეობენ დამსახურებული ლოგოპედები და აღმზრდელები. ესენია: **ლია ხარაძე, ნინო გაბაშვილი, თინათინ სარიშვილი, ციალა მუჯირიშვილი, მედიკო კაციტაძე** და სხვები.

გარეგნული იერ-სახის გარდა, ბაგა-ბაღი გამოირჩევა სანიმუშო აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი, ენერგიული და უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი **მზია კოტიაშვილი**. იგი, ერთი წელიწადია რაც დირექტორია, მაგრამ ამ მცირე

ფსიქოლოგს, ყველა ლოგოპედს, ექთანს და სპეც. პედაგოგს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამუშაო ოთახი აქვს. პატარებთან ინდივიდუალური მუშაობა კი, გაცილებით ეფექტურია და ხელს უწყობს ბავშვების სწორად განვითარება-აღზრდას.

შექებას იმსახურებს ბაღის თითოეული თანამშრომელი; დირექტორის მოადგილე **თინა აბშილავა**, მეთოდისტი **მანანა ბეროზაშვილი**, ფსიქოლოგი **ნატო მეფარიშვილი**, სპეც. პედაგოგი **ნათია გივიაშვილი**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორები: **ზეინაბ ჭანკოტაძე** და **ინგა ტალახაძე,** საქმისმწარმოებლები: **ნესტან ფოფხაძე** და **მაკა ობგაძე**,

ბაღის წარმატებულ საქმიანობაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალსაც. ესენია: **დალი ონეზაშვილი, მზია ქვლივიძე, ლია ბერიძე, ლია კახაძე, ნინო ნორაკიძე, მაია ოყროშელიძე, თამარ გოგოლაძე, ლუიზა გვიანიძე, ხათუნა თვაური, ნაილი ტყემალაძე, დესიკო არუშიძე, დოდო ოთიაშვილი, ქეთევან ჩიჩხაშვილი, მანანა სულაძე, თეონა ლომაია, ნანა ფონჯავიძე, შორენა ყაველაშვილი, დავით ლომაია, თამაზი, ლაშა და ალექსანდრე სურგულაძეები,**

აღსაზრდელებისთვის აქ ბრწყინვალე პირობებია შექმნილი და ბაღი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

მზია გოგოძე

წიგნი, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს

„პრეზიდენტი შვიდი წლით“

„თუ წიგნის ავტორს ისეთი ლიტერატურული გვარი აქვს, როგორიც **ნინო ამირეჯიბს,** ამ წიგნის წაკითხვის სურვილი, ადამიანს, შეიძლება თუნდაც ამის გამო გაუჩნდეს, მაგრამ პირადად მე სულ სხვა ინტერესი მამოძრავებს და ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ რომანს საქართველოს პრეზიდენტის შესახებ, რომელიც ქალია“ – წერს მწერალი **დათო ტურაშვილი** ნინოს წიგნის შესახებ. მეც ერთი სული მაქვს და ეს დროც ახლოა – 19 დეკემბერს **ნინო ამირეჯიბის** წიგნის წარდგინება გაიმართება წიგნის სახლში **„შაქრო ბაბუა“.** მეც გულის ფანცქალით ველოდები ამ დღეს. ნინოს ყოველი წარმატება განსაკუთრებით მიხარია. საერთოდ, ნიჭიერი ახალგაზრდის ყოველი კეთილი ნაბიჯი ხომ თავისთავად დღესასწაულია. **„პრეზიდენტი შვიდი წლით“** ნინო ამირეჯიბის მეორე ნაწარმოებია.(წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობაში „ინტელექტი“. მისი დიზაინი კი **თეონა გაგლოევას** ეკუთვნის). ნინოს პირველი წიგნი **„გოგონა მონტე-ნაპოლეონის ქუჩიდან“** დიდი მოწონებით სარგებლობს ახალგაზრდა მკითხველთა შორის. მისი მოთხრობა **„აზადა“** ლიტერატურული კონკურსის **„წერო“** 2015 წლის საუკეთესო ნაწარმოებების კრებულში მოხვდა. ნინო არა მარტო ნიჭიერი მწერალია, არამედ კარგი ფსიქოლოგიც, და, ალბათ,ამიტომ გამოირჩევა მისი ნაწარმოებები სულიერი სიღრმით. ავტორი ცდილობს გმირების ქვეცნობიერში ჩაგვახედოს და მიზეზის მიზეზი გვაპოვნინოს.

„ეს არის წიგნი პოლიტიკოს ქალზე, თავისი შეცდომებითა და სისუსტეებით, რომელსაც არასდროს არ დაუკარგავს პირვანდელი სახე. მერი ჯაფარიძე შინაგანი ბუნებით ალბათ ისეთივე ქალია, როგორც ჩვენს რეალობაში არსებული ნებისმიერი სუსტი სქესის წარმომადგენელი, რომელსაც უყვარს, სტკივა, განიცდის, უხარია, ტირის და რაც ყველაზე მთავარია, გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას იმ ხალხის წინაშე, რომელმაც წლების წინ აირჩია“ - ასე გვაცნობს თავის გმირს ავტორი.

ქალი-პრეზიდენტი – ერთი შეხედვით არაფერია გასაკვირი, მაგრამ მაინც, რას უკავშირდება ავტორის სურვილი, მოგვითხროს ქალზე, რომელმაც პრეზიდენტობა იტვირთა? ეს ქალური სოლიდარობაა თუ, იქნებ, რომანის გმირის პროტოტიპი გაუცნობიერებლად საკუთარი დედაა, რომელიც ასე უყვარს, აფასებს და მასში პრეზიდენტობისთვის განუხორციელებელ პოტენციას ხედავს? ის ხომ მისთვის მაგალითია კეთილშობილების, ღირსების, ნიჭის, სიკეთის, დიდსულოვნების და როგორც ნინო ამბობს, დედა ოცდაათი წლის მანძილზე ემსახურება ქართულ ტრადიციულ მედიცინის პოლიტიკას, პირადი ურთიერთობა აქვს სასულიერო თუ საერო ელიტასთან, ქალმა, რომელმაც მიუხედავად სამსახურეობრივი უდიდესი პასუხისმგებლობისა, მაინც მოახერხა იყოს საამაყო დედა, მეუღლე, მეგობარი, ჰუმანური ადამიანი და უბრალოდ ქალი.

ვწერ ამ სტატიას და ვფიქრობ იმას, თუ რაზე ოცნებობენ ახალგაზრდები ოცდამეერთე საუკუნეში, თუ რას განიცდიან ისინი, თუ რაზე ნაწყენდებიან, რაზე სწყდებათ გული, რა უხარიათ და რას ელიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან მათთვის დიდი ყურადღების მიპყრობაა საჭირო და დასაფასებელია მათი აზრი. ნინოს ეს წიგნიც ხომ ერთ-ერთ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს, თუ როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი?! ავტორს შესაძლოა ბევრჯერ შეეცვალოს აზრი, ხედვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, **ნინო ამირეჯიბისთვის** უმაღლესი ღირებულებები ყოველთვის ფასეული იქნება.

თამარ ლამპარაძე



წერა-კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?

ინდაურივით თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კიარა, ჭარმაგებიც კი გადარია ცივილიზაციის ამ მონაპოვარმა, მის ჯანმრთელობას დაემუქრა, იოლად ფონს გასვლის სენი შეჰყარა, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გააგდებინოს, ნარკოტიკივით შეიჩვია. ამას მე კი არა, ექიმები და ფსიქოლოგები მეცნიერულად ამტკიცებენ. წიგნი რომ წაიკითხო და ცოდნა შეიძინო, ამას შრომა უნდა, ენერგიის დაძაბვა, ტვინის შეწუხება. კაცის ბუნება ასეთია: ყველაფრის იოლად მიღწევა უნდა, ოფლის დაუღვრელად.

დღეს იდიოტი უნდა იყო, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობას არ აფასებდე, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? მაშ, რა ვქნათ? სად ვეძებოთ გამოსავალი? ფსიქოლოგების აზრით, კომპიუტერით და მობილურით უსაზღვრო გატაცება (სულ ერთია, მოზარდი იქნება თუ ზრდასრული), პიროვნებას ერთგვარად ცლის ემოციებიდან. მოდით, ასე დავსვათ კითხვა: ამაღლდა თუ არა სწავლის, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი, მას შემდეგ, რაც ცხოვრებაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? მოსწავლე, სტუდენტი გადაეჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას. რაზე შეიწუხოს თავი, როცა აგერ შეყოფს თავს და იოლად მიიღებს რა და რა გინდა ინფორმაციას. ამიტომ, რატომ შეიწუხებს თავს მოსწავლე, სტუდენტი წერით, კონსპექტების შედგენით, არ ჯობია, შევყოფ თავს ინდაურივით, იმდენ ინფორმაციას მივიღებ, რომ, მაგრამ იმ ზღვა ინფორმაციის ათვისება არ გინდა?

თანდათან გადაეჩვია მოზარდი წიგნის ხელში აღებას. რამდენიმე პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ ამბობს და პირდაპირ კომპიუტერით ააწყობს მუზის ნაყოფს. ხალხური სიბრძნე, გაგვიგონია: „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“, ე. ი. ადვილად შესწავლილი, ადვილად გავიწყდება. ფსიქოლოგები ამბობენ: „რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს აღქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“.

თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ, თუ შენ იშვიათად დაწერ რამეს, შეუმჩნევლად ორივეს გადაეჩვევი.

ამას წინათ, საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ძალზე საჭირო გადაცემა შემოგვთვაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახენებთ, მოწვეული ჰყავდათ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებმაც განგაშის ზარი შემოკრეს ქართული ასოების მართლწერას, კალიგრაფიას საფრთხე შეექმნაო. ექვსი წლის ლუკას წერას ასწავლიდნენ, ვერ სწავლობდა. ვინც წერა იცის, ჯღაბნის. კონსტანტინე გამსახურდია კი ნახატივით ლამაზ ქართულ ასოებს ეალერსებოდა: „ანი ნამგალს ჰგავსო, ბანი — ყელწერწეტა დოქს“. მაშ, რა ვქნათ? რა და, ბოროტად ნუ ვისარგებლებთ (განსაკუთრეებით ბავშვები) კომპიუტერით, თორემ თავად გავხდებით მისი მსხვერპლი. რომში ერთ-ერთი საფლავის ქვას აწერიაგ „იგი ჭამდა და სხვამდა ზომიერად“ და სწორედ იმ კაცმა 120 წელი იცოცხლა. „მეტის მეტი — ბრეტის ბრეტი, ასე უთქვამთ ძველებს“. კალმახზე უფრო მარგებელი თევზო, აბა რომელია? მაგრამ ზომაზე გაცილებით მეტს რომ მიაძღა ლუარსაბი, „დაემართა კუჭის ანთება და ჩაბარდა პატრონს“.

კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერაკითხვას. იგი სწავლების უმაღლესი დონის ტექნიკური, დამხმარე საშუალებაა.

ექვსი წლის წიწილასავით შეუბმუმბლავ პირველკლასელს ნუ მივაჩეჩებთ კომპიუტერს. მოდით, მისი გამოყენება მეოთხე კლასიდან დავაწყებინოთ. მკითხელო, ამ პრობლემაზე შეიძლება დუმილი? მოდით, თქვენი მოსაზრება გაგვიზიარეთ!

რედაქტორი

არდავიწყება მოყვრისა

ნუნუ იოსელიანის ხსოვნას

ქართულ მწიგნობართა საზოგადოებას კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი გამოაკლდა. ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ბიბლიოთეკის დირექტორი **ნუნუ იოსელიანი**.

იგი დაიბადა 1926 წლის 27 იანვარს, თბილისში, განათლებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოში პირველი სამეცნიერო-პედაგოგიური ბიბლიოთეკის დამაარსებლისა და გარდაცვალებამდე მისი უცვლელი დირექტორის **ქსენია იოსელიანის** ოჯახში. ბავშვობიდანვე ეზიარა იგი ქართული წიგნისა და საერთოდ, საბიბლიოთეკო საქმეს და მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება მთლიანად მას მიუძღვნა.

1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, თავისი დიდი დედის მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას ედგა სათავეში და ერთგულ თანამშრომლებთან ერთად, ღირსეულად გამოატარა იგი იმ პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმების ქარტეხილებში, რომელიც საქართველოს დაატყდა თავს გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის განმავლობაში. სწორედ, მისი და მისი ერთგული თანამოაზრეების (უფრო კი თანამებრძოლების) თავგანწირვის შედეგია ის, რომ ამ უნიკალურმა ბიბლიოთეკამ შეინარჩუნა უმდიდრესი წიგნადი ფონდი და ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელსაც ყოველთვის დიდად აფასებდნენ როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

ნუნუ იოსელიანის თაოსნობით არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყება თუ იდეა განხორციელდა: გაფართოვდა ბიბლიოთეკის კავშირები საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ცენტრებთან, პედაგოგიურ და სტუდენტთა კოლექტივებთან; გამოიცა არაერთი საცნობარო და ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, რომლის ავტორები არიან ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.

განსაკუთრებით დიდია **ნუნუ იოსელიანის** დამსახურება ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, როდესაც მძიმე ფინანსური მდგომარეობის პირობებში, ზემდგომი ორგანიზაციების უყურადღებობის მიუხედავად, ბიბლიოთეკას არა თუ არ შეუწყვეტია ფუნქციონირება, არამედ მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმის იმედით განაგრძობს საქმიანობას და ინტერნეტის ტოტალური მოძალების მიუხედავად ინარჩუნებს მკითხველს, მეცნიერთა და სტუდენტთა კონტინგენტს.

ნუნუ იოსელიანი იმ დიდი ეზოს უკანასკნელი მოჰიკანია, სადაც დაირწა ქართული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერთა აკვანი, სადაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. და ყველა ამ მოვლენის აქტიური მონაწილე აწ გარდაცვლილი **ნუნუ იოსელიანიც** იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ი.გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა;

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტი;

„სახალხო განათლება +''-ის რედაქცია

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს'' რედაქცია;

ჟურნალ „დილას'' რედაქცია

ვრცელი რეპლიკა ხათუნა ბარაბაძეს

ყალბ თავმდაბლობას ფყუილივით მოკლე ფეხები აქვს

დიდი პედაგოგის **ლევან ჩიქვანაიას** დაფუძნებული პირველი ექსპერიმენტული სკოლის წარსული რომ მახსოვდა, გადავწყვიტე, მისი შემოქმედი, ნიჭიერი პედაგოგებისა და მოსწავლეების ურთიერთობაზე სტატია დამეწერა. ახლა ხომ რუსთაველის საიუბილეო დღეებია და დირექტორს **ხათუნა ბარაბაძეს** დავუკავშირდი: ამ თემაზე საინტერესო ღონისძიება ხომ არ ჩაგიტარებიათ-მეთქი. ძუნწი პასუხი: არაო.

-მაშინ დაწყებითი კლასების კათედრის მუშაობას გავაშუქებ, ქალბატონო.

– ო, ამას მეტად სერიოზული სამუშაოს შესრულება სჭირდება, – ისეთი ტონით მიპასუხა, თითქოს დისერტაციის დაწერა დამევალებინოს.

– თქვენ არა... შემახვედრეთ ამ კათედრის ხელმძღვანელთან და ჩვენ მოვუვლით მაგ საქმეს (ამ სტრიქონების ავტორი დამსახურებული პედაგოგია).

– არ არის საჭირო, არ გვინდა გამოვჩნდეთ, ვინმეს თვალში მოვხვდეთო.

ქვეტექსტში იკითხებოდა: ისეთი თავმდაბალი ვარ, ქება არავისგან მჭირდებაო.

დღესავით ნათელია: თავმდაბლობის ნიღბით ტაქტიანი უარი მითხრა. ტყუპისცალივით ჰგავს ეს სიტყვები მეტად ,,თავმდაბალი'' დირექტორების: **ხულორდავას** (155-ე სკოლა), **ამზაშვილის** (37-ე), **ჩიქოვანის** ((30-ე) **ბადაშვილის** (136-ე), **გიორგაძის** (52-ე) და სხვათა ფრაზებს (**„რეკლამა არ მიყვარს''**, **„ქებას ვერ ვიტან''**, **„საქმით ვართ ქებული''**), რითაც მათაც ადრე თავიდან მომიშორეს.

საოცარია პირდაპირ: **„წყუროდეს წყალსა ვინ დაღვრის, კაცი უშმაგოდ ცნობილი''. რატომ არ უნდა სურდეს დირექტორს, თუ მისი სკოლა და თავადაც უფრო პოპულარული გამოჩნდებიან საზოგადოებაში?**

ამაოდ ფიქრობთ, ,,თავმდაბალო'' დირექტორებო, **90 წლის საქართველოს მასწავლებელთა გაზეთი, მხოლოდ დირექტორებზე დითირამბების საწერად შედიოდეს სკოლებში. ჩვენი მიზანი უფრო დიდია: სამინისტროსთვის რეფორმების გატარებაში მხარდაჭერა, პოზიტიურის გაშუქება, პედაგოგის ღვაწლის დანახვა-დაფასება.**

დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ეს და მათსავით მოფიქრალ-მოაზროვნე დირექტორები ჩვენი გაზეთის მიმართ **უნდობლობას** გამოხატავენ. იკითხავთ: საიდან გაჩნდა ეს უნდობლობა? ,,სად მარხია ძაღლის თავი? '' ეჭვი მღრღნის: სადღაც ზევით ჯადოსნურკვერთხიანი უჩინმაჩინი ზის და სახელს უტეხს მასწავლებელთა გაზეთს, თორემ ზოგიერთი რესურსცენტრის უფროსი თათბირზე დირექტორებს არ მიანიშნებდა, ძალიან ნუ გაუშინაურდებით ჟურნალისტებსო.

23-ე სკოლასთან დიდებული თანამშრომლობა გვქონდა. ერთ არამშვენიერ დღეს **ნინო ნაბახტეველმა** გამომიცხადა: თქვენთან ურთიერთობას ვწყვეტთო. ქათამმა თქვა: გოჭი დაკლეს, მე წამაკლეს, ინდაური დაკლეს, მეც მიმაყოლესო. თურმე ერთ პოლიტიკურ-ოპოზიციურ გაზეთს ეს სკოლა და მისი დირექცია ,,მიწასთან გაუსწორებია'', რა თქმა უნდა უსამართლოდ. ჯადოსნურკვერთხიანს კი დირექტორებისთვის უბრძანებია: ჟურნალისტებს არ ენდოთო. ამის შემდეგ წაგვაკლა ჩვენც ნინომ ოპოზიციურ გაზეთებს, მათ რანგში გაიყვანა მასწავლებელთა გაზეთი.

138-ე სკოლაში ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა. მიღწევების გასაშუქებლად ორჯერ ვეწვიე დირექტორს – **ნუნუ კაპანაძეს**: ვერ გავბედავ(!) ზემოდან ნებართვა მომიტანეო. ეს ,,ზემოდან'' კი ან სამინისტროს ნიშნავდა, ან – რესურსცენტრს.

ცოტა უკან დავიხიოთ. მაშინ, შაშკინისა და მანდატურების ზეობისას ჟურნალისტებს სკოლაში არ უშვებდნენ, ხოლო სკოლის დირექტორებს **„შ''** და ,,**ჟ''** ბგერების გაგონებაზე ჟრუანტელი უვლიდათ.

იმ დროს **ირინე გაგოშიძის** 191-ე სკოლაში დიდებული ღონისძიება ტარდებოდა. ვესტუმრე. დირექტორს ნირი დაეკარგა, რესუსცენტრის მაშინდელ უფროსს – **რუსუდან ჩხეტიას** დაურეკა, სხვა კი არა ჩვენი, მასწავლებელთა გაზეთის ჟურნალისტია და ნება დართეთ ღონისძიება გააშუქოსო. ჩხეტიამ იმ პირობით მომცა უფლება, რომ სტატია დაბეჭდვამდე მისთვის მიმეტანა სამინისტროში საცენზუროდ.

მაშინ შაშკინმა უნდობლობის ისეთი კედელი აღმართა, ზოგიერთი დირექტორი მათი გაზეთის ჟურნალისტებს დღესაც **ალმაცერად გვიყურებს, სკოლაში არ გვღებულობს, გვემალება,** საქმეთამმართველს აფრთხილებს: ჟურნალისტმა თუ დარეკოს, უთხარი, არა ვარ, სინამდვილეში კი კაბინეტში ზის. უფრო მეტიც, ზოგიერთი აბუჩად გვიგდებს, გვატყუებს...

შარშან კეთილი განზრახვით 186-ე სკოლას ესტუმრა ჩვენი მცხოვანი რედაქტორი. დარაჯის ზღურბლს ვერ გაცდა იგი, დირექტორმა **მაია გრიგოლიამ** აი, როგორ მოატყუა: პედსაბჭო მაქვს, დამელოდოს და მივიღებო. არადა, გახურებული გაკვეთილების დროს, 11 საათზე პედსაბჭოს სხდომას (თუ ქვეყანა არ იქცევა) არავინ ნიშნავს. საათზე მეტი ამაოდ აყურყუტა სტუმარი დირექტორმა და მერე აცნობა, თითქოს სასწრაფოდ გამოიძახეს სამინისტროში. არაფერი მაგის მსგავსი არ მომხდარა. **მაია გრიგოლია** არხეინად იჯდა თავის კაბინეტში.

დაახლოებით ასე ,,სტუმართმოყვრულად და თავაზიანად'' მოექცნენ რედაქციის მუშაკებს ,,მეტად თავმდაბალი'' დირექტორები: **ლილია გეონჯიანი** (39-ე სკოლა) და **ხათუნა ხულორდავა** (155-ე სკოლა).

რედაქტორის მოადგილე, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ყოფილი დირექტორი მისმა ,,თავაზიანმა და სტუმართმოყვარე'' კოლეგებმა **ნუნუ და ნატო ბეიტრიშვილებმა** (კერძო სკოლა ,,პრომეთე''), **ლია თუშურმა** და **მანანა გორგასლიძემ** (173-ე) ბავშვივით ატყუეს და არბენინეს მამისტოლა კაცი.

ახალი სასწავლო წლის მისალოცად და სხვა კეთილი განზრახვით **თეთრიწყაროს რაიონს** ესტუმრა ვენი რედაქტორი. არა მცალია შენთვისო, - ხუთი წუთითაც არ დაელაპარაკა სტუმარს **კოდის** საჯარო სკოლის დირექტორი (არ გვინდა მისი გვარის ხსენებაც), უღალატო, ვაჟკაცური ბუნების სვანთა წარმომადგენელმა, სოფელ **ხაიშის** საჯარო სკოლის დირექტორმა **მანანა კვიციანმა** თორმეტჯერ მოატყუა რედაქტორი, ხოლო, ასევე შეუპოვარი, პატრიოტი მთიელების შვილმა, ქალაქის პირველი სკოლის დირექტორმა **გიული ზაქაიძემ** მამისტოლა კაცთან **ტელეფონით საუბარიც არ იკადრა**, საკუთარი მობილური პასუხისთვის საქმეთა მმართველს გადასცა. ეს სამი ფაქტი საქართველოს მასწავლებელთა გაზეთის შეურაცხყოფაა. შენ რას იტყვი მკითხველო?

ზემოთქმულიდან რა ვთქვათ? რა და, ყოველივე ეს შაშკინის შიშის რეციდივებია. საბედნიეროდ, ასეთი დირექტორები ძალზე მცირეა, იშვიათობაა. ,,შევუნდოთ მათ, რამეთუ არა იციან რასა იქმნენ''

კიდევ რა ვთქვათ? რა და, თუ პედაგოგებისთვის არსებობს ყოფაქცევის კოდექსი, დირექტორებისთვისაც უნდა იყოს.

კიდევ რა ვთქვათ? რა და, ჩვენი გაზეთი, **იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებული საქართველოს მასწავლებელთა გაზეთი 90 წლის ხდება. იგი მუდამ იყო, არის და იქნება განათლების სამინისტროს რეფორმათა მხარდამჭერი, მასწავლებელთა ქომაგი და მეგობარი. არსოდეს პედაგოგის, დირექტორის კომპეტენცია-ღირსების შემლახველი მასალა არ დაგვიბეჭდავს. ზემონახსენები „ძალიან თავაზიანი და თავმდაბალი'' დირექტორებისგან განსხვავებით სხვა აზრისაა ჩვენს გაზეთზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.** აი, ამონარიდი მათი პასუხიდან: **„სამინისტრო მიესალმება მასმედიის განვითარებას, რომელიც უშუალოდ განათლების სფეროთია დაინტერესებული, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას... სკოლა უფლებამოსილია, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მათთვის შეთავაზებულ აქტივობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით''**. ჩანს აქ სადმე სამინისტროს **უნდობლობა** ჩვენი გაზეთის მიმართ? პირიქით ხომ არაა? იქნებ მოუწოდებს იგი **სკოლას მასწავლებელთა გაზეთთან თანამშრომლობისკენ?**

სკოლის დირექტორს ვერ მოვთხოვთ პრესის პოლიტიკაში სიღრმისეულად ერკვეოდეს, მაგრამ ის მაინც უნდა **იცოდეს და შეეძლოს (ვალდებულიცაა) პედაგოგიური გაზეთი ოპოზიციურისგან განასხვაოს და არა ყველა ერთ ქვაბში ჩაუძახოს.**

მოსე მწერალი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+, №16 (4537)
23 ნოემბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599343727; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ.ფოსტა: saxgani@gmail.com
sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ.: (032)2 99 80 00
(032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113